წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. შაბათი სექტემბრის 23—(6) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| თვიურათ . . . . | 3 მან. |
| ოთხი თვით . . . . | 1 თუმანი. |
| ცალკე ნუმერი . . . . | 3 შაური. |

განცხადების ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . | 2 აბაზი. |
| უკანასკნელ გვერდზე . . . . | 5 შაური. |

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. ნ მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 133 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 133

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. გ. **წერეთელი**. შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. გ. **წერეთელი**. 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი**. ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.

ციკლონი

არა ჩვეულებრივი კინო-პიესა ხუთ ნაწილათ. ევროპის უეშხიანესი ქალის სიუზანა არმელის მონაწილეობით, ამერიკელ მილიონერ ქალის როლში.

წიგნის გამომცემლობა „განათლება“

**აცხადებს, რომ დაიბეჭდა და გამოიცა შემდეგი წიგნები:**

1. სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკა . . ფ. 1 მან. 5 შაური.
2. მისივე—მოკლე ქართ. გრამატიკა. . . ფ. — — 10 „
3. ი. ნიკოლაიშვილის მოკლე ქართ. გრამატიკა . ფ. — — 10 „
4. ოცხელის ელემენტარული ალგებრა. . . ფ. 1 მან. 10 შაური
5. მისივე—გეომეტრია . . . . ფ. 1 „ 10 „

იბეჭდება:

1. დასაწყისი გეოგრაფია მრავალი სურათებით შემკული, შედგ. გ. ცაგერეიშვილის, დ. ქუთათელაძისა და შ. სანიკიძის მიერ.
2. არითმეტიკული კრებული გიმნ. I, II და III კლ. კურსი, შედგ. ალ. ჯაფარიძის, ს. დითეშიძისა და ალ. მგალობლიშვილს მიერ.

**მისამართი**: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, ზაქ. მაჭავარიანის სახლი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის სოდა და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება „ქირონი“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. აღმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ქართველი ჯარი.

უკანასკნელ თვეში ისეთ ეროვნულ დაწესებულებებს ჩაეყარა საფუძველი, რომ უნებურათ საზეიმოთ ირთვება კალამი და მხიარულათ თავდება დაწყებული წინადადება.

ეხლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხცოვანი აკაკის სიტყვები:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ ისტორიულ ანაქრონიზმს წარმოადგენს, და ფხიზელი ხალხი გულმოდგინეთ შეუდგა ეროვნულ ხუროთ მოძღვრებას.

ჭეშმარიტათ,

„ძველი ინგრევა, იცვლება დრო და ნანგრევზე იფურჩქნება ახალი ცხოვრება“.

ჯერ ისდგა ინტერპარტიული ეროვნული საბჭო, საეკლესიო კრებაზე კათალიკოზის არჩევით დამთავრდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისთვის ბრძოლა და ეხლა, თითქოს წინად დასახელებულ დაწესებულებათა დასაკავად მთავრობის ნებართვით არსდება ქართული ჯარი...

ევროპიულათ გაწვრთნილი ქართული ჯარი.

ამაზე ო ნებობდენ საქართველოს დიდი მესვეურნი...

ამაზე ცდილობდენ დავით აღმაშენებელი და პატარა-კახი...

ოცნება ქართულ ისტორიის თავის დღეში არ განუხორციელებია.

თუ ოდესმე საქართველოში არსებობდა მუდმივი ჯარი—იგი შესდგებოდა დაქირავებულ უცხოელთაგან,—ყიზილთა და ლეკთაგან, -რომელთაც არ ასულდგმულებდა სამშობლოს დაცვის წმინდა ცეცხლი.

და რომ ჩვენი ჯარი გვყოლოდა, მამულის სიყვარულით აღფრთოვანებული, გაწვრთნილი და მოწყობილი, განა კნორინგის თავხედობას, გენათელისა და ქუთათელის გაუპატიურებას, მთელი ერის გაკამტვერებას ადგილი ექნებოდა? იფიქრებდა კი ვინმე ასეთის ნაბიჯის გადადგმას?

რაც ვერ მოახერხეს მეფეებმა, ის შექმნა შეგნებული ხალხის ერთსულოვანმა ნებამ...

ვის არ ხიბლავს არკადიის სიმტკბილე, ქრისტიანული სიყვარული, შრომაზე დამყარებული მყუდრო ცხოვრება საზოგადოებისა, მაგრამ საზღვრებს სამშობლოისას ჯერ კიდევ მრავალ მხრივ შეჰყურებს გაუმაძღარი თვალი მტრისა, და ჩვენც, ქართველებმა, იმავ ძალასა და საშუალებას უნდა მივმართოთ, რომლითაც თავს იცავენ ევროპის კულტუროსანი ერები... ინგლისი, შვეიცარია, გერმანია.

ბურჯი სახელმწიფოისა ამხანად არის ჯარი... მუდმივი იქნება იგი, თუ დროისდაშესაფერად გამოწვეული, ყოველშემთხვევაში წინათვე გაწვრთნილი, მომზადებული ჯარი...

პირველად დგება ქართული ჯარი...

განსაკუთრებული ყურადღება ქართველ მხედრობას!..

აღტაცება, რიდი და სიყვარული მას, ვისაც მსხვერპლათ სამშობლოსთვის მოაქვს საკუთარი სისხლი!..

მეფისტოფელესი ამბობს:

„სისხლი უცხო რამ წვენია“...

სისხლი უმაღლესია ყოველსა შესაწირავზედ!..

„მითხარ სად, როდის ყოფილა უსისხლოდ თავისუფლება მოპოვებული?“

გულის წმინდით შეუდგეთ ქართული რაზმების შედგენას...

თავიდანვე დავამყაროთ გარდუვალი და სამარადისო მიმართულება, ზნე-ჩვეულება (ტრადიცია) ჯარისა—**მხოლოდ და მარტო უცხოელ მტერთან სამშობლოს დაცვა.**

შინაურ საქმეებში მონაწილეობას მიიღებს ყოველი მხედარი, როგორც მოქალაქე, მაგრამ, როგორც ჯარის-კაცი, იგი იქნება გარეშე ყოველივე პოლიტიკისა, ე. ი. ჯარის კაცი მიიღებს მონაწილეობას სურვილისამებრ კავშირში, დასში, პარტიაში; აირჩევს ამა თუ იმ პირს, ისე, როგორც ყოველი მოქალაქე, მაგრამ რაზმი, პოლკი, ასეული არ ჩაებმება რომელსამე პარტიაში, არ ჩაერევა პოლიტიკურ აგიტაციაში და შეიარაღებულის ძალით არ მოინდომებს თვისი სურვილების გამარჯვებას...

ჯარს არც რაიმე პოლიციური დავალება მიენდობა (თუნდაც ავაზაკთა დევნა!). ჯარი არის მხოლოდ მთლიანი ერის დამცველი და არა ვისიმე მოსარჩლე და დამტუქსველი...

ჯარი იქნება დემოკრატიული შემად გენლობით, თავისუფალი უფლებით და შეგნებით, მაგრამ იქ უნდა სუფევდეს რკინის დისციპლინა.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მსურველი, ვიმეორებთ მოკლეთ, ეცდება დაამყაროს ქართულ ჯარში სამი უცვლელი ჯარის ცხოველმყოფელი დებულება:

ჯარი მხოლოდ გარეშე მტერთაგან იცავს სამშობლოს.

ჯარის-კაცი მოქალაქეა და მისი პიროვნება ყოველგვარ შევიწროებიდან უზრუნველყოფილია.

ჯარში სუფევს ერის ურყევი, უდრეკი ნების-ყოფა, რომლის დარღვევა უსასტიტიკესად დაისჯება.

დანარჩენი წვრილმანია, წარმავალია, და დროისა და გარემოების მიხედვით შემუშავდება, შეიცვლება, დაარსდება და შეკეთდება...

გაუმარჯოს საქართველოს დამცველს ქართველს ჯარს!

Argon.

## საზავო კომპანია.

ზავისთვის ბრძოლა ცხოველდება. ყველა მებრძოლი სახელმწიფო დაინტერესებულია მშვიდობიანობის ჩამოგდებით. მეომარ მხარეთათვის უმთავრესი კითხვა ის არის, თუ ვინ იქნება საზავო პირობების მოკარნახე.

გერმანეთს ომი მოგებულათ მიაჩნია, როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება. გერმანეთის კანცლერს ერთ ჟურნალისტთან დარბაზობის დროს უთქვამს: „გერმანეთს არაფერი არა შფოთებს. იგი იმდენათ წინდახედულია, რომ, არც ერთ მოვლენაში არ სჭვრეტს კატასტროფას. ძალთა რეალი განწყობილება უსათუოდ გერმანეთს მიანიჭებს საზავო კომპანიაში ხელმძღვანელ როლსო.

ომის წარმოებაში მუდამ პირველობას დაჩვეული გერმანეთი, ახლა საზავო კომპანიაშიც პირველობას ეუფლება.

რუსეთს აღელვებს ის მოვლენა, რომ არც პაპი და არც იმპ. ვილჰელმი სამშვიდობო მიმართვაში, თუ ნოტაში რუსეთს არ იხსენიებენ. უფრო, შიშს და ეჭვებს იწვევს ის, რომ ზავზე ლაპარაკის დროს რუსეთს აგრეთვე უყურადღებოთ სტოვებენ მოკავშირე სახელმწიფონი (ინგლისი და საფრანგეთი). რევოლუციის შემდეგ რუსეთი ძლიერ სახელმწიფოთა წრიდან გამოვიდა. დღეს რუსეთზე არავითარ იმედს არ ამყარებენ. პირიქით ამას წინათ მოკავშირენი აცხადებდენ, რომ რუსეთის ადგილს ომის გასაგრძელებლათ იაპონია დაიჭერსო. თუ იაპონია აქტიურათ ომში ჩაერია, ეს დიდ ცვლილებას მოახდენს არსებულ მდგომარეობაში. იაპონია გერმანეთისათვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს, არც ინგლის-საფრანგეთის გულწრფელი [illegible] ორთავ სამკვდრო სასიცოცხლო ფერხულში ჩაებას. რუსეთისთვის დიდათ სახიფათოა დღევანდელი ზავი.

თუ მოკავშირეებმა გასწირეს რევოლუციური რუსეთი, მწარე განცდის დღეებში მხარი არ დაუჭირეს, მაშინ ადვილათ შესაძლებელია რუსეთს ვერ ასცდეს ვერც ანექსია და ვერც კონტრიბუცია.

**დის.**

## ალსრულდა!..

„ქართველო ხელი ხმალს იჰკარ დღე გათენდა დიდებისა.“

**ილია.**

ალსრულდა!..

მრავალ ჟამ ნანატრ ოცნებას ფრთები შეესხა და ოცნება იგი ფრთებ-შესხმული განხორციელდა.

ამ ჟამიდან ქართლ-კახელი, იმერელი, მეგრელი, გურული, ფშავ-ხევსური, ინგილო თუ მურზაყანი ყველა ერთ საზოგადო ოჯახში შეიკრიბება და ურთ-ერთის სიყვარულით საერთო საქმისაკენ ხმალ ამოწვდილი გაექანება.

ალსრულდა!..

ას-ჩვიდმეტმა კრულმა წელმა განვლო, რაც ქართვლის გმირნი ძენი ერთმანეთს არ შეხვედრიან და ერთმანეთის ჭირ-ვარამი არ გაუზიარებიათ.

ას ჩვიდმეტი წელიწადი ერთმანეთზე დაშორებულნი, სადღაც გადაკარგულნი იბრძოდენ ისინი, სისხლს ღვრიდენ, მსხვერპლად ეწირებოდენ და ვის, რისთვის,—ეს მუდამჟამ გამოუცნობი რჩებოდა ჩვენს გმირ ჭაბუკთათვის.

მაგრამ აჰა. შეიგნეს...

შეიგნეს ის სულიერი წამება, რომელსაც ისინი განიცდიდენ მშობელი კუთხის დაშორებით, ერთმანეთის გათიშვით, სამშობლოს გაუპატიურებით და ერთმანეთს ხელი გაუწოდეს მჭიდრო კავშირისაკენ.

კავშირი ეს სიმბოლოა მომავალი იმედიანობისა და გამარჯვებისა...

კავშირი ეს პირველი ბურჯია ჩვენი მხედრობის შეერთებისა, იგი ფუძეა ჩვენი მომავალი დიდებისა.

ეს ფუძე მტკიცე გამოდგა, იმის სიძლიერემ და მხნეობამ ნაყოფი გამოიღო.

— ნებადართულია მთავრობისაგან ქართული პოლკების შედგენაო.

ეუწყა სრულიად ქართველ ერს, ეუწყა განაწამებ ქართველ მხედრობას.

ალსრულდა!..

მხიარულობს ქართველი ერი.

აღფრთოვანდა ქართველი მხედრობის სული და მოისწრაფვის ეროვნული რაზმებისაკენ, რომ აქ ძმამ ძმას ხელი მისცეს და საერთო ძალით გაილაშქროს მტერთან ანგარიშის გასასწორებლათ და თავისუფლების მოსაპოებლათ.

ამას ჩვენ მოველოდით. ამისთვის ვიბრძოდით და ბედნიერ ვართ, რომ ბრძოლა ჩვენი უნაყოფო არ დარჩა.

ალსრულდა!..

გიხაროდენ, ქართველო ჯარის კაცებო! განიბანენით სულით და შესდგით ფეხი ეროვნულ რაზმებში!..

ალსრულდა!..

**ჯ.-კაცი ნ. ახათიანი.**

## ყოვლად უსამღვდელოესი.

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ.**

(ბიოგრაფიული ცნობა.)

ეპისკოპოზი კირიონი (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი) შვილია დეკანოზ იერონიმე საძაგლიშვილისა, დაიბადა 10 გიორგობისთვეს 1855 წელს, ქ. თბილისში. თბილისის სასულიერო სემინარია პირველ მოწაფედ გაათავა 1876 წ., კიევის სასულ. აკადემია ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით 1880 წელს დაასრულა. [illegible] 1880 წ. გიორგი საძაგლიშვილს ოდესის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ გზავნიან. 1883 წელს სამშობლოში დაბრუნდა და თელავის სასულიერო სასწავლებელში დანიშნეს. ამის გარდა მსახურებდა გორისა და ქუთაისის სასულ. სასწავლებელში და შემდეგ თფილისის სასულ. საქალებო საეპარქიო სასწავლებელში. ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ 1896 წ. აღიკვეცა ბერად და ჩაიბარა ქვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღვრობა. 1898 წ. აკურთხეს ეპისკოპოსად ალავერდის კათედრაზე. 1901 წ. ეპ. კირიონი გორის ეპისკოპოსად დანიშნეს.

ცხოვრებაში გამოსვლიდანვე ყოვლად სამღვდელო მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა სამშობლო ეკლესიის წარსულის კვლევა-ძიებას და ზრუნავდა მის აყვავებისათვის. 1901 წლიდან იწყება ეპ. კირიონის არაჩვეულებრივი დევნა რუსის სასულიერო მთავრობის მიერ. ადგილიდან ადგილზე გადაყვანა და შევიწროვება. ეპ. კირიონს 1902 წ. კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903 წელს ხერსონში გადაიყვანეს, 1904 წ. ორიოლის ეპარქიაში გადაჰყავთ, 1906 წ. სოხუმის ეპარქიაში, ხოლ 1907 წ. 27 იანვარს, კვლავ ცივ რუსეთში—კოვნოს ეპარქიაში გადაჰყავთ, საიდანაც ზამთარში 1908 წ. სულ მთლად დაითხოვეს უეპარქიოთ. აქედან ეპ. კირიონის ნამდვილი წამება იწყება. უკანასკნელ ქართველ კათოლიკოზ ანტონ მეორის შემდეგ წამების ჯვარი, ეპ. კირიონს ხვდა. სიცივე, სიმშილი, მონასტრიდან მონასტერში დევნა, უდაბნოში ცხოვრება, ყოველ ჟამს სიკვდილის მოლოდინში ყოფნა—აი ეპ. კირიონის ცხოვრების შინაარსი.

პირველად უადგილოდ დატოვებული ეპისკოპოსი ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბერნიაშია) გაგზავნეს. აქ ათი თვე არც კი გააჩერეს, ისე სინოდისაგან ბრძანება მოუვიდათ—სანაქსარის უდაბნოში (ტამბოვის გუბერნიაშია) გადაიყვანეთო. იანვარში ავადმყოფი ეპისკოპოზი ჟანდარმებით მოსკოვის გზით სანაქსარის უდაბნოში მიიყვანეს, სადაც ცივ-ნოტიო ოთახში მოათავსეს და გადაცემულნი პოლიციელნი მიუჩინეს თვალყურის სადებლად.

რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას ეპ. კირიონი ნიშანში ჰყავდა ამოღებული და არავითარ ცილისწამებას არ ერიდებოდა მის დასაღუპავად და საქართველოს ექსარხოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობაც კი დასწამეს. ამგვარმა ცილის წამებამ, როგორც საქართველო, აგრეთვე დემოკრატიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა აღაშფოთა. როდესაც ამ ცილისწამების შესახებ პრესის წარმომადგენელნი ევ. გეგეჭკორს (მაშინ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო) შეეკითხნენ, მან უპასუხა: „ეს ველური და შეუსაბამო ბრალდებაა. ბრწყინვალე პიროვნება ეპისკოპოს კირიონის მის მტერთ მოსვენებას არ აძლევს. მის სახელს რომ ჩირქი მოსცხონ, სამკვლელობას არ ზოგვენ. ეპ. კირიონი ქართველ სამღვდელოებაში თვალსაჩინო პიროვნებაა, ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანია ავტოკეფალიისათვის, რასაც სინოდშიც გაბედულად იცავდა, ყველა ამას მთავრობა ვერ დასთმობდა და დევნა გამოუცხადა“... ამ დევნამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ბელგიიდან "ადამიანის უფლების დაცვის ლიგის" თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა ბრიუსელიდან 10 მარტს, 1909 წელს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სთხოვა დაეცვა ეპ. კირიონის პიროვნება წამებისაგან, მაგრამ ვერც საზღვარ-გარეთის და ვერც შინაურმა გამოსარჩლებამ ვერ შეუმსუბუქა ეპ. კირიონს ტანჯვა. დეპ. ი. ვოსტროკოვის სიტყვებით: „ეპ. კირიონს ჩვაბ...ოს და მთელ საქართველოს სისხლით მოაწყამ“ (გაზ. „რეჩი“ № 72, 15 მარტი, 1908 წ.) რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას უნდოდა სასრულემდი მიეყვანა.

სანაქსარის უდაბნოშიც დიდხანს არ დასტოვეს და ხერსონესის მონასტერში გაგზავნეს, სადაც 1915 წლამდე დაჰყო.

უკიდურესმა პირობებმა დევნა წამებამ ეპ. კირიონის ენერგია ვერ გასტეხა, სამშობლოს სიყვარულს გულში ატარებდა და სამშობლოს მოწყვეტილმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას მიჰყო ხელი. ამ ხნის განმავლობაში ეპ. კირიონმა კაპიტალური წიგნი დასწერა: „Культурная роль Иверии въ истории Россiи“. ამ წიგნს გარდა მრავალი ნაშრომი აქვს მწყემსთმთავარს, რომელთა გამო ისტორიის მკვლევართა შორის ეპ. კირიონის მეცნიერ-არქეოლოგის სახელი აქვს მოხვეჭილი. ეპ. კირიონს მრავალი მასალა აქვს ხელთნაწერად.

1915 წელს ეპ. კირიონს ეპარქიის მმართველობის უფლება დაუბრუნეს და პოლოცკის და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს, სადაც ამ უკანასკნელ თვემდე მსახურებდა. მაგრამ სამშობლოს ნახვის ნებას მაინც არ აძლევდნენ. ეპ. კირიონის განთავისუფლებას აღტაცებით შეხვდა როგორც საქართველო, აგრეთვე რუსეთის სატახტო პრესაც, სადაც მას საქართველოს ეკლესიისათვის წამებულ ეპისკოპოსად და არქეოლოგ-მწიგნობრად იხსენიებდნენ.

ეპ. კირიონი ერთ უხვ ქველმოქმედთაგანადაც ითვლება. მისი დახმარებით მრავალ ქართველ ყმაწვილს მიუღია უმაღლესი სწავლა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ბევრსაც დახმარებია ისე. ძნელად მოიპოვება ისეთი ქართველი კულტურული, თუ საქველმოქმედო საზოგადოება, რომლისთვისაც ეპ. კირიონს უხვად არ შეეწიროს ფული.

მრავალი წლობით შეძენილი ნუმიზმატური კოლექცია და წიგნთსაცავი ეპ. კირიონმა ქართველ ისტორიო და ეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა, რაც ჩვენის მუზეუმის მშვენებას შეადგენს. ამას გარდა მდიდარი სამკითხველო გაიხსნა სოფ. ქვემო-ნიქოზში (გორის მაზრა) კირიონის სახელობისა, რომელსაც წიგნები ეპ. კირიონმა შესწირა. პეტროგრადის სასულიერო აკადემიაშიც ეპ. კირიონის შეწირულებით ქართველ ბიბლიოთეკას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მრავალი კეთილი და მამულიშვილური ღვაწლი მიუძღვის ეპ. კირიონს. ყოველისავე ჩამოთვლა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობაში შეუძლებელია.

ეპ. კირიონმა მთელი თავისი სიცოცხლე—საქმით თუ სიტყვით სამშობლოს შესწირა და დღემდის მისთვის ოდნავადაც არ უღალატნია.

მოხუცი, მაგრამ ენერგიით სავსე ეპ. კირიონი, დღესაც მზად არის შესწიროს თავი სამშობლოს ბედნიერებას.

---

# პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი.

პ. დ. ს.

## დეპეშები

### მილიუტინის სიტყვა

**ქალაქთა ჯგუფის** წარმომადგენელმა მილიუტინმა მოიყვანა ზოგიერთი ქალაქის სათათბიროს ნაკაზი, რომლითაც მოითხოვენ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის უფლება დემოკრატიის ხელში გადავიდეს. შემდეგ გააკრიტიკა ყოფილ მინისტრ-სოციალისტების სიტყვები და განაცხადა: მთელს თავიანთს მინისტრობის დროს მათ ვერაფერი ისწავლეს. მღელვარების დროს, როცა ჩვენს ქვეყანას შიმშილი და უმუშევრობა ემუქრება, როდესაც ეკონომიურ ცხოვრებას საშინელების აჩრდილი ემუქრება, აი ამ დროს მტკიცე ფასების შემოღება სრულიად შეუწყნარებელია. საბოლოოდ მილიუტინი მოითხოვს, რომ ყველა მიწები გლეხთა კომიტეტებისა და მუშათა საბჭოების ხელში გადავიდეს.

### ისაევის სიტყვა.

პეტროგრადის თვითმართველობის წარმომადგენელმა ისაევმა ილაპარაკა იმ ჯგუფის სახელით, რომელიც სავსებით იზიარებს ჩხეიძის მიერ მოსკოვის თათბირზე წამოყენებულ პროგრამას. ამ ჯგუფის აზრით კოალიციური მთავრობა საჭიროა შემოქმედ მუშაობისთვის. შემდეგ მიუთითა იმაზე, რომ მუშათა კლასს არ შეუძლიან სახელმწიფო მართვა-გამგეობა ხელთ ჩაიგდოს და შეუძლებელიცაა ერთფეროვანი იყოს. იგი უნდა კოალიციურს ნიადაგზე იდგეს. შემდეგ ორატორი შეეხო ანარქიულ მოძრაობის გაძლიერებას, გაიხსენა ტულიდან, ყაზანიდან, კოსტრომიდან, ეკატერინოსლავიდან, ბაქოდან, ტაშკენტიდან და სხვა ქალაქებიდან დეპეშით გადმოცემული ამბები და განაცხადა: აი, იქ, სადაც აუწერელი ძარცვა-აწიოკება ხდებოდა, დეპუტატთა საბჭონი უძლურნი იყვნენ წესიერება აღედგინათ (ბოლშევიკები თავიანთ ადგილებიდან ჰყვირიან, ხმაურობენ). წესიერების აღსადგენად საჭიროა ცოცხალ ძალთა შემოკრება კანონიერების ფარგლებში. შემდეგ ორატორი დაასკვნის: გამოცდილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, თუ როგორ ნიადაგზე უნდა შევადგინოთ ახალი მთავრობა: საქმიან შეთანხმების ნიადაგზე, 14 მარიამობისთვეს დეკლარაციის პლატფორმებზე უნდა მოხდეს ყველა ელემენტების კოალიცია, სადაც გამონაკლისს არც თუ ცენზიანი ელემენტები უნდა შეადგენდნენ. ბოლოს ისაევმა დეკლარაცია გამოაქვეყნა ქალაქი ჯგუფის სახელით

### მოსკოვის ქალაქის თავის სიტყვა.

**რუდნევი** ემხრობა კოალიციურს პრინციპს. მას არა სწამს, რომ რაიმე ხეირი გამოვიდეს თუ კოალიციაში ადგილს არ მისცემენ კადეტებს ან და სხვა ცენზიან ელემენტებს. ახალ მთავრობის შედგენაში მხოლოდ კოალიციურის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ვინაიდან მთავრობის მუშაობა მხოლოდ საქმიანობაში უნდა გამოიხატოს, საბჭოთა საქციელის საზღვარი უკვე გასცილდა რევოლიუციურს საზღვარს. ივლისის დღეებმა რევოლიუციას მოსწყვიტეს ფართო მასა. ქალაქთა მღელვარება და ანარქიის ზრდა კარგს არასფერს არ მოასწავებს. რევოლიუციურმა დემოკრატიამ მტკიცედ უნდა აწონოს ყოველი გარემოება და წინასწარვე თავის ძალღონე გაითვალისწინოს, ვიდრე კოალიციის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდეს.

### ერობათა წარმომადგენელთა სიტყვა.

**ჩენიკაევმა** განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის თათბირზე ერობათა წარმომადგენლნი სავსებით ვიზიარებდით ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებულს პროგრამასაო. ერობანი, მიუხედავად წინანდელ რეჟიმის მემკვიდრეობისა, მეტ წილად მესამე ელემენტის წარმომადგენლებისგან შესდგება, რომელნიც პროგრესიულს გზას ადგანან და ხშირად რევოლუციონობაზეც თავსა სდებენო. მართალია, ძნელია შეუგნებელ მასსის გულგრილობასთან ბრძოლა, მაგრამ ერობათა წარმომადგენლებს ეს არ გვაშინებსო.

ერობა ნამდვილი დემოკრატიული ორგანიზაციაა. იგი ის საძირკველია, რომელზედაც ახალი რუსეთი უნდა აშენდეს. დასასრულ ჩენიკაევი აცხადებს დეკლარაციას, რომლითაც დაბეჯითებით მოითხოვს: რუსეთის დაცვას, ეკონომიურ დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას, მტკიცე მთავრობის შექმნას დემოკრატიის ცენზიან ელემენტებთან კოალიციის ნიადაგზე, წინასწარ პარლამენტს, რომელშიაც უნდა შევიდნენ, ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენლები, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრალ ორგანოთა და კოოპერატივების წარმომადგენლები, და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას.

**დემოკრატიულ ერობათა წარმომადგენელი ბობროვსკი** მხარს უჭერს კოალიციას მოსკოვის თათბირზე გამოქვეყნებულ დეკლარაციის ნიადაგზე. ორატორს მეტად საჭიროდ მიაჩნია სასურსათო საკითხის მოგვარება. ერობათა აზრით მთავრობამ შეცდომა ჩაიდინა პურზე ფასის მომატებით. წინასწარი პარლამენტი კოალიციის ნიადაგზე უნდა შესდგეს. დასასრულ ორატორი შეეხო უკრაინელთა ავტონომიას და აღნიშნა, რომ თავრიზის გუბერნიის სამ მაზრის მცხოვრებლებმა დაადგინეს საკითხი დამფუძნებელ კრებამდის გადასდონ.

**ერობათა საგუბერნიო კომიტეტების წარმომადგენელმა ფენმა** ერობათა უმცირესობის სახელით ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ უმცირესობა უმრავლესობას სამ საკითხში არ ეთანხმება. უმცირესობამ მოითხოვს მიწის შესახებ კანონების გამოცემას. ომის შესახებ უმცირესობა მოითხოვს აქტიურ ნაბიჯებს ზავისკენ. წინასწარ თათბირის შესახებ უმცირესობა იმ აზრისაა, რომ იგი ამ თათბირზედვე უნდა იქმნეს არჩეული.

### საგუბერნიო კომიტეტთა წარმომადგენლის სიტყვა

საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტთა, და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელი ზაბელინი აცხადებს, რომ იგი გამოდის რევოლუციურ ერობის სახელით, რომელიც ამ ექვსი თვის განმავლობაში მძიმე ტვირთს ეწეოდა აღნიშნავს დეპუტატთა საბჭოების შველას. მთავრობის შესახებ ზაბელინმა განაცხადა, რომ იგი ავტორიტეტული და სამშობლოს ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. არ შეიძლება, რომ რესპუბლიკას სათავეში ერთი ან რამდენიმე პირი ედგეს. რუსეთს თვით დემოკრატია უნდა განაგებდეს. ამისთვის საჭიროა წინასწარ პარლამენტის შექმნა, სამინისტროში ნამდვილი დემოკრატები უნდა გავიდნენ. დასასრულ ზაბელინმა წაიკითხა მის ჯგუფის ძირითად მოთხოვნილებათა გამომხატველი დეკლარაცია, მოითხოვს: დემოკრატიულ პროგრამის გატარებას, ბრძოლას ზავისთვის და რუსეთის დამფუძნებელ კრებამდის მიყვანას.

### სალამოს სხდომა.

სხდომა გაიხსნა ავქსენტიევის თავმჯდომარეობით 5 საათ. 31 წუთზე. პირველად გამოდის პროფესიულ კავშირების წარმომადგენელი რიაზანოვი, შემდეგ შლიაპკინი.

### რიაზანოვის სიტყვა

რიაზანოვი თავის სიტყვის შესავალში აცხადებს, რომ იგი წარმომადგენელია კავშირთა ინტერნაციონალურ მიმდინარეობისაო. შემდეგ აღნიშნავს, რომ მეტ წილად პროფესიულ კავშირთა შორის უთანხმოებას ვხედავთო. ერთი ნაწილი ემხრობა საბჭოთა სახელმწიფო მართვა გამგეობას, ხოლო მეორე თათბირის მიერ შედგენილს მთავრობის ორგანიზაციას ორატორი ამ ორში პირველ მიმდინარეობამ ემხრობა. მიუთითა რა პროფესიულ კავშირების როლზე პოლიტიკურს ცხოვრებაში, რიაზანოვმა განაცხადა: ბოლშევიკებმა დიდი ენერგია და უნარი გამოიჩინეს კორნილოვის აჯანყების ჩასაქრობადო. მათვე მოსპეს ექსცესების შესაძლებლობა. შემდეგ ბრალი დასდო რა კადეტებს, თქვენ კორნილოვს მიემხრეთო, ორატორმა მოითხოვა სრული უნდობლობა გამოუცხადოთ მათ და მთავრობის შემადგენლობაში არც ერთი ადგილი არ დავუთმოთო. ყოველ შემთხვევაში დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომ რაიმე კიდევ მოსალოდნელ ხიფათში არ გაგვხვიონ, შეუძლებელია კადეტებს ვენდოთო საბოლოოდ რიაზანოვი მოითხოვს, რომ დეპუტატთა საბჭოებმა იკისრონ დროებითი მმართველობა.

### შლიაპკინის სიტყვა

პროფესიულ კავშირების მეორე წარმომადგენელმა შლიაპკინმა განაცხადა, ჩვენი კავშირი ერთსულოვნად წინააღმდეგი იყო კოალიციის და გუშინდელ კრების შემდგომ ხომ ეს გადაწყვეტილება განვგიმტკიცდათ. ორატორი ბრალსა სდებს სკობოლევს, რომ მან სოციალისტობით დაიწყო და კადეტობით გაათავა თავისი კარიერაო (ტაში) ასევე მოხდა პეშეხონოვის თავზე. უფრო ადვილია სოციალისტები ვიპოვოთ, რომელნიც ბურჟუათა საქმეს ემსახურებიან, ვიდრე ბურჟუები, რომელიც რევოლიუციურ დემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებდნენო. ორატორი პროტესტს აცხადებს სკობოლევის განცხადების შესახებ შრომის ნაყოფიერობის დაწევის გამო.

### კოოპერატივების წარმომადგენელთა სიტყვები

კოოპერატივების წარმომადგენელმა **ეგოროვმა** განაცხადა: სამშობლოს ხსნა ორი საკითხის სწორად გადაჭრაზეა დამოკიდებული. ახალ მთავრობის შემადგენლობისა საკანტროლო ორგანოს შექმნის გარკვევაზე. მინისტრმა სოციალისტებმა დაარწმუნეს კოოპერატივების წარმომადგენელნი კოალიციის შეუძლებლობაზე. შეუძლებელია რევოლიუციურ დემოკრატიისა და ცენზიანი ელემენტების შერიგებაო. დემოკრატიის პროგრამა და ცენზიანებისა შეურიგებელი იქნება. დემოკრატიას ესაჭიროება ძლიერი, მტკიცე მთავრობა ერთი პროგრამით. ესაა დემოკრატიული მთავრობა. მთავრობა იგი უნდა ეყრდნობოდეს ჯანსაღ დემოკრატიულს ელემენტებსო.

მის შემდეგ ადის მთელი რუსეთის კოოპერატიულ ყრილობის წარმომადგენელი **ბერკენჰაიმი**, რომელმაც განაცხადა: კოოპერაცია თავისი დანიშნულებისა და მიზნების მხრივ ზეპარტიული დაწესებულებაა, კულტურულ-ეკონომიური. კოოპერატივები პრაქტიკულს ცხოვრებაში ნათლად ჰხედავენ რევოლიუციურ დემოკრატიის ხელმძღვანელთა შეცდომებსო კოოპერაცია ემხრობა ჩხეიძის მიერ წამოყენებულ პროგრამას. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია (ხმაურობა, პროტესტები, ხმა: „ტყუილია!“). რევოლიუციის დანიშნულებაა განამტკიცოს დემოკრატიულ-სოციალური რეფორმები, რაც ბურჟუაზიულს მართვა-გამგეობას შეეფერება. ბურჟუაზია გამოვა იმ კლასად, რომელსაც მიეკუთვნება მართვა-გამგეობის უფლება. ეს უცვლელი მათემატიკური აქსიომაა. თუ მეცნიერება სისულელე არ არის, მაშინ ეს დებულებაც უნდა მივიღოთ. თავს ნუ მოვიტყუებთ თორემ დავმარცხდებით („ხმები: მართალია!“ პროტესტები და ხმაურობა). ჯერ კიდევ არ გვაქვს საკმაო ცოდნა და ძალღონე ყველა ამას მივაღწიოთ. საჭიროა მივიმხროთ ინტელიგენცია და სახელმწიფო ელემენტები ყველ კლასებიდან, საჭიროა ისეთი კოალიცია, რომელიც მთელი სიცოცხლის ძვალსა რბილში გაიჟღენთება. საჭიროა მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი! ძლიერი ხმაურობის დროს ბერკენჰეიმი აქვეყნებს კოოპერატივთა ყრილობის ნაკაზს. საჭიროა შევქმნათ კოოპერატივთა ორგანიზაციების დროებითი ბლოკი იმ სოციალისტურ თუ არასოციალისტურ პარტიებთან და ჯგუფებთან, რომელნიც ესწრაფვიან რევოლიუციის მიერ დაპყრობილ პოზიციების განმტკიცებას და წარმართობასო. საჭიროა დაარსდეს ეროვნულ კოალიციური მთავრობა. მთავრობა იგი ორგანიზაციებისა და ჯგუფების გარეშე უნდა იდგეს და თავის თავს პასუხისმგებლად სთვლიდეს მხოლოდ მთელი ხალხისა და დამფუძნებელ კრების წინაშე, კოოპერაცია შეუძლებლად სთვლის ძალთა ზედმეტ შეარაღებას, არმიის გარეშე (ხმაურობა), თუ ამას არ მოითხოვს მოკავშირეებთან ერთად თავდაცვის საკითხი. კოოპერატივები მთელის ძალღონით შეებრძოლებიან მარჯვნივ და მარცხნივ ყველა იმათ, ვინც ჩვენს ქვეყანას სამოქალაქო ომისკენ და დაღუპვისაკენ ეწევიანო (ტაში)

**კოოპერატივების წარმომადგენელი ოდერი** აცხადებს: მთავრობა არ შეიძლება მტკიცე არ იყოს. მისი სიტყვით, მხოლოდ პოლიტიკურ დათმობის გზით შეიძლება რისამე მიღწევა. არ შეიძლება გამოვყოთ ესა თუ ის ელემენტები, მით უმეტეს თუ ჩვენ მთელ სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავთ.

### მშრომელ ინტელიგენციის დეკლარაცია

მშრომელ ინტელიგენციის, ლაშქრისა და ფლოტის ექიმთა კავშირის, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურების კავშირთა კავშირის, ინჟინერთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების სახელით წაკითხულ იქმნა დეკლარაცია, რომლითაც რუსის მშრომელი ინტელიგენცია მოითხოვს მთავრობაში ყველა ჯგუფთა წარმომადგენლების მოწვევას, დანიშნულ დროზე დამფუძნებელ კრების მოწვევას, ყველა ერთა თათბირის მოწვევას და სხვა.

### გლეხთა წარმომადგენლების სიტყვა.

გლეხთა კავშირის წარმომადგენელი ... ვის განუხორციელებელი ლოზუნგები და საქმეს შეუდგეს.

პრეზიდიუმის სახელით წერეთელი წინადადებას იძლევა ორატორთა დროის შემცირებაზე და მოითხოვს ძირითად საკითხების კენჭის ყრას. უმრავლესობა წინადადებას იზიარებს. ნაწილი წინააღმდეგია. წერეთელი აცხადებს, რომ პრეზიდიუმს არ შეუძლია ასეთ საკითხში უმრავლესობის გადაწყვეტილება მიიღოს და ისევ ძველ წესრიგს არჩენს.

### ქალთა წარმომადგენლების სიტყვა.

სრულიად რუსეთის მოწყალე დათა კავშირის სახელით ნოვიკოვა აცხადებს, რომ კავშირი რევოლიუციურ დემოკრატიის პლატფორმას იზიარებს და საჭიროდ სთვლის ზომების მიღებას ავადმყოფთა და დაშავებულთა დასახმარებლად. ქალთა დემოკრატიულ კავშირის წარმომადგენელი დობროვოლსკაია მხარს უჭერს კოალიციას და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ილაშქრებს.

### უკრაინელთა რადის თავმჯდომარის სიტყვა.

უკრაინელთა რადის თავმჯდომარე **კორაში** აცხადებს, რომ საჭიროა რევოლიუციურ მთავრობის შექმნა, რომელშიაც უნდა შევიდნენ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვებით დაინტერესებული სოციალური ძალები. ასეთია: პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარი (ტაში). ყოფილ მინისტრების თათბირზე გამოსვლის შესახებ—კორაში ამბობს: ისინი ახსნა-განმარტებით მოვიდნენ, როდესაც საჭიროა ფაქტები. ორატორი შეეხო კოალიციურ მთავრობის მოქმედებას და აღნიშნა, რომ წერეთელი ომისა და სასურსათო საკითხში საადგილო-მამულო კომიტეტების მოქმედებას ეწინააღმდეგებოდა. კორაში ის დასკვნა გამოჰყავს, რომ დროებითი მთავრობა ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა რევოლიუციურ ორგანიზაციებთან. ამიტომ საქმეც კოალიციაში კი არ არის არამედ რევოლიუციურ დემოკრატიის ორგანიზაციათა განმტკიცებაში. ეროვნულ საკითხის შესახებ,—კორაში აცხადებს, მთავრობა ეროვნებათა მორჩილები უნდა დაეხვეწია ვინაიდან ხალხს ცდა აღარ შეუძლიან. (ხმები ადგილებიდან) რადგან ამ აზრით ახალი მთავრობა ერთიან რევოლიუციურ ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს. ამას გარდა დროა ბოლო მოეღოს მთავრობის უპასუხისმგებლობას მიწის საკითხში. მთავრობამ დამფუძნებელ კრებამდის უნდა გადასცეს საბატონო, სასულიერო და საკაბინეტო მიწები საადგილო-მამულო კომიტეტებს. ეროვნულ საკითხში საჭიროა ხალხის თვითგამორკვევის პრინციპის მიღება. ზავის შესახებ—კორაშმა განაცხადა—საჭიროა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყება. საჭიროა აგრეთვე სიკვდილით დასჯის მოსპობა. კორაშის სიტყვას კრების ნაწილი ალაგ-ალაგ ტაშით ჰფარავდა.

### მაჰმადიანთა წარმომადგენლების სიტყვა

სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა წარმომადგენელმა ცალიკოვმა განაცხადა, რომ მაჰმადიანები კოალიციის მომხრენი არიან. კოალიციაში უნდა შევიდნენ რუსეთის ყველა ცოცხალი ძალები კორნილოვის ამბოხებაში მონაწილე ძალების გარდა. მაჰმადიანები ეროვნულ საკითხის შესახებ დამფუძნებელ კრებაზე განაცხადებენ, ხოლო ეხლავე მოითხოვენ ეროვნებით მთავრობასთან მაჰმადიანთა საქმეების სეკრეტარიატის დაარსებას. ცალიკოვმა მოითხოვა აგრეთვე ჯარის ნაციონალიზაციის საკითხის ეხლავე გადაწყვეტა.

### ეროვნულ სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლის სიტყვა

ეროვნულ სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელი მიცულიძე კითხულობს ყველა ეროვნულ სოციალისტურ პარტიათა სახელით წამოყენებულ დეკლარაციას, რომელიც აცხადებს, რომ მტკიცე მთავრობის შესაქმნელად და მომავლის საძირკვლის ჩასაყრელად საჭიროა რევოლიუციურ დემოკრატიის შეთანხმება და სოლიდარული ბრძოლა სოციალურ და ნაციონალურ მოთხოვნილებათათვის, რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადება—ეროვნულ შეზღუდვის მოსპობა, ყველა ენის, სკოლის და სასამართ-

ლოს სწორ უფლებაანობის გამოცხადება, ეროვნულ საბჭოს შექმნა. უნდა მოწვეული იქმნენ ეროვნული დამფუძნებელი კრებები და ეროვნულ ჯარების დაარსება.

**ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლის სიტყვა.**

ჩრდილო კავკასიის და დაღესტნის მთიელთა წარმომადგენელი ჟამიტოკოვი აცხადებს: ჩვენი მიზანი მთავრობის შედგენაა— და ეს საკითხი მთელი რევოლუციის საკითხად უნდა ჩაითვალოს. ცოცხალ ძალთა კოალიცია აუცილებელია. გაუგებრობათა ძირითად მიზეზად ბურჟუაზიულ რევოლუციის სოციალურად გადაქცევის ლტოლვილებად ჩაითვლება. ჩრდილო კავკასიის მთიელები, აცხადებენ, რომ რევოლუციის ხსნა სამშობლოს დაუხსნელად შეუძლებელია.

ებრაელ მუშათა კავშირის წარმომადგენელი აბრამოვიჩი კოალიციის წინააღმდეგია. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთში არ მოიპოვება ისეთი ბურჟუაზიული პარტიები, რომელნიც დემოკრატიულ პროგრამას იღებდნენ, დაუყონებლივ უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას ყველა ერის ეროვნული მოთხოვნილება.

პოლონელთა სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელნი დაპინსკი—კომპრომისზე დამყარებულ კოალიციის წინააღმდეგია.

ესტონელთა სოციალისტური პარტია მიცულიძეს რეზოლიუციას იზიარებს.

**ებრაელთა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელი** კოალიციის მომხრეა.

**„დაშნაკცუტუნ“-ის წარმომადგენელის სიტყვა**

„დაშნაკცუტუნ“-ის პარტიის წარმომადგენელი ნაზარიანცი აცხადებს, რომ სომხებმა ბევრი მსხვერპლი შესწირეს ომის მოლოხს და ზავი ჰსურთ. დამფუძნებელ კრებამდის სომხები ეროვნულ საკითხზე არავითარ მოთხოვნილებას არ წამოაყენებენ. მთავრობის შესახებ სომხები იმ აზრისანი არიან, რომ მხოლოდ დემოკრატიაზე დანდობილი მთავრობა მიიყვანს რუსეთს დამფუძნებელ კრებამდე.

**ლიტვის მშრომელ პარტიის წარმომადგენლის სიტყვა**

ლიტვის მშრომელ პარტიის საბჭოს სახელით გამოდის იანუშკევიჩი. იგი პროტესტს უცხადებს თათბირის უყურადღებობას ეროვნულ საკითხისადმი. ორატორი აცხადებს, რომ ლიტველები თავიანთ გამარჯვებას რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებენ და ამიტომ საჭიროდ სთვლიან რევოლუციის გაღრმავებას. მთავრობის მიზანი კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაა. ომის შესახებ ორატორი აცხადებს საჭიროა ყოველივე ზომების მიღება უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოსაგდებად. საჭიროა აგრეთვე საგანგებო აქტი ლიტოვეთის თვითგამორკვევის უფლებათა შესახებ.

**ბელორუსების რადის წარმომადგენელი** მიცელიძის რეზოლუციას იზიარებს.

**18 სექტემბრის დილის კრება**

**ეკონომიურ ჯგუფთა წარმომადგენლების სიტყვები**

პირველად ლაპარაკობს **გრომანი**, იგი აკრიტიკებს რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას, მთავრობის საეკონომიო პოლიტიკას და აღნიშნავს რა სრულს დაცემას სამეურნეო სფეროში, ამბობს, რომ 14 მარიამობისთვის დეკლარაცია სწორედ შესაფერისი იყო საქმის გამოსასწორებლად, ვინაიდან იგი შეიცავს სრულს სისტემას სამეურნეო ცხოვრების მოსაწყობად და ნაყოფიერების გასაძლიერებლად. მთელი თვის განმავლობაში რაც დროებითმა მთავრობამ ეს დეკლარაცია მიიღო, მაინც ასი პროც. გაადიდა დადებული მტკიცე ფასები როგორც პურზე, ისე პირველ საჭიროების ნივთებზე. მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია, რომ სოფლები რაოდენადმე მაინც უზრუნველ ეყო უსაჭიროეს ნივთებიდან. ქვეყანა სიცივესა და შიმშილის წინაშე წააყენა. ბოლოს მან მოითხოვა, რომ ყოველგვარი ზომები მიეღოთ მეურნეობისა და შრომის მოსაწესრიგებლად, რომ სამშობლო ქვეყანა დაღუპვისაგან ეხსნათ.

შემდეგ გამოვიდა **ჩერვანინი**, რომელმაც განავითარა გრომანის დებულებანი. იმანაც მოითხოვა დაუყონებლივ მთელი ეკონომიური პროგრამის განხორციელება, რომელიც 14 მარიამობის თვეში გამოტანილი იქმნა. ასევე საჭიროა მთავრობამ შეცდომები გაისწოროს, პურზე მტკიცე ფასები არ შესცვალოს, საეკონომიო ორგანიზაციები დააარსოს და ის ორგანოები გააუქმოს, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს დააარსესო. შემდეგ ილაპარაკა შუბმა, მისი აზრით რევოლიუციურმა დემოკრატიამ ყოველისფერი ვერ იღონა ეკონომიურ კრიზისის სალიკვიდაციოთ, მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი გააკეთაო. საჭიროა, რომ მისი შემდეგი მუშაობა უფრო განვითარდეს ამ არჩეულის გზითაო.

რკინის გზის კავშირის წარმომადგენლმა **ვომპემ** განმარტა მიზეზები, თუ რად მოხდა რკინის გზაზე არევ-დარევა: ადმინისტრაცია ძველი დარჩა, მაგრამ თანამშრომელთა შორის ვერ ვხედავთ თანამშრომლობას. კონტრ რევოლუციური ელემენტები დარჩნენ მართველობის ცენტრში და თავთავიანთ ადგილებზე. საჭიროა კონტროლი და საადმინისტრაციო პირთა პასუხისმგებლობა, რომ ადგილი არ ჰქონდეს უპასუხისმგებლო პირთა ბატონობასაო. რკინის გზის უნაყოფიერობა წარმოშვა კიდევ სავლახაო ჯამაგირებმა. რკინის გზის სრულს დაშლა-განადგურების მოლოდინში უნდა ვიყოთო. საჭიროა რეფორმები და სრული გაწმენდა ძაბალიდან მოყოლებული უმაღლეს თანამდებობის პირებამდეო.

**ქარხნების კომიტეტთა** წარმომადგენელმა **სკრიპკინმა** წარმოსთქვა სიტყვა წარმოების მოწესრიგებაზე. წესიერების დამყარებაში ხელს გვიშლიდნენ მთავრობის ორგანოები მინისტრ-სოციალისტების დახმარებითაო. (პროტესტები და ხმები: „ძირს“. ტაში უკიდურეს მემარცხენეთა). მთავრობა ხელს გვიშლიდა წესიერი წარმოება გაგვეჩაღებინა ლითონის ქარხნებში სოფლათ თუ ქალაქად. მეშინიან, რომ ეს დემოკრატიული თათბირიც მოსკოვის მეორე თათბირად არ გარდაიქცეს. აქ შევიწროვებულია მუშათა და გლეხთა წარმომადგენლობა და არა-დემოკრატიულს ორგანიზაციებს კი ფართოდ დაუთმეს ადგილი. (ხმაურობა, საპროტესტო ხმები). ორატორი ბოლოს მოითხოვს სასტიკ ზომების მიღებას კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველად.

**მუშათა დამზღვევ საზოგადოების** წარმომადგენელი **ვინოკუროვი** აღნიშნავს მუშათა დაზღვევის კანონის ნაკლულევანებას, იგი არაა სრულიო. შემდეგ აკრიტიკებს ყოფილ მინისტრ სკობელევის მოქმედებას, ვინც მუშათა დაპყრობილს მუშებსვე არ ახმარებს, მათს უფლებებს ფრთები შეაკვეცაო. ორატორი მოითხოვს ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთაგან მთავრობის შედგენას. ვინოკუროვის აზრით მთავრობის საკითხი თათბირზე არ გადასწყდება, მას მხოლოდ რევოლიუციური ყრილობა გადასწყვეტს.

**ფოსტა-ტელეგრაფის წარმომადგენლის სიტყვა.**

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის სახელით კინი აცხადებს, რომ მხოლოდ დაუყოვნებლივ მოწვეული დამფუძნებელი კრება შეჰქმნის ნამდვილ მთავრობას. დასასრულ კინი ტაშკენტიდან მიღებულ დეპეშას კითხულობს და აცხადებს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურენი ყოველ ღონის ძიებას იხმარენ კონტრ-რევოლიუციურ გამოსვლებთან საბრძოლველად (მქუხარე ტაში).

**მასწავლებელთა წარმომადგენლის სიტყვა.**

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის სახელით გერდი აღნიშნავს, რომ კავშირი თავისუფალ დემოკრატიულ სკოლისთვის იბრძვის. ორატორის სიტყვით, კავშირის უმრავლესობა კოალიციის მომხრეა, მხოლოდ მოითხოვენ, რომ კოალიციაში რევოლიუციურ მთავრობის მოწინააღმდეგე უკიდურესი მემარცხენენი არ შევიდნენ. უმცირესობა წინააღმდეგია კოალიციისა და ერთიან რევოლიუციურ დემოკრატიის მთავრობას უჭერს მხარს.

**ფერშლების წარმომადგენლის სიტყვა.**

ფერშალთა კავშირის წარმომადგენელი პოპოვი აცხადებს, რომ ფერშლები ენკენისთვის 14-ის დემოკრატიულ პლატფორმაზე დგანან და თათბირიდან წინასწარ პარლამენტის გამოყოფას მოითხოვენ.

**პრესის წარმომადგენელთა სიტყვა.**

პრესის წარმომადგენელი **შიპულინსკი** აცხადებს: მთავრობა უნდა დაუყოვნებლივ შეუდგეს დემოკრატიულ პროგრამის განხორციელებას, ზავის ჩამოგდებას და სიკვდილით სასჯელის გაუქმებას. შიპულინსკი აღნიშნავს, რომ თავისუფალ რუსეთში პრესას თავისუფლება არ მიუღია.

**დემოკრატიულ სამღვდელოების წარმომადგენლის სიტყვა.**

დემოკრატიულ სამღვდელოების კავშირის წარმომადგენელი მღვდელი ვვედენსკი ესალმება რევოლუციას, რომელმაც სამღვდელოებას თავისუფლად ამოასუნთქვინა. ორატორი კოალიციის წინააღმდეგია.

**საზღვაო მუშათა წარმომადგენლის სიტყვა.**

საზღვაო გზების მუშათა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა ენკენისთვის 14-ს პლატფორმა მიიღო, მოითხოვა დემოკრატიულ ზავის ჩამოგდება, სიკვდილით დასჯის მოსპობა. ორატორმა განაცხადა, რომ კავშირს მთავრობის შედგენის შესახებ ერთი გადაჭრილი აზრი არა აქვს.

**ინჟენერთა და ტეხნიკთა წარმომადგენ. სიტყვები**

მთელი რუსეთის ინჟენერთა და ტეხნიკთა კავშირის წარმომადგენელი მიემხრო კოოპერატორთა განცხადებას და სთქვა: კავშირი პოლიტიკურ საკითხებში ითვალისწინებს რეალსა და ეკონომიურს ძალთა განწყობილებასაო, იგი ეწინააღმდეგება მათ, ვისაც ჰსურს ეს თათბირი გარდაჰქმნას მთავრობის ორგანოდ. მეორე წარმომადგენელმა ლავროვმა დაასურათა, რა ძნელი საქმე აქვს გასაკეთებელი მთავრობას: რკინის გზებზე გაფიცვას ველით, გაფიცვა მოხდება ორთქლმავალთა მხრივ, რაიც გამოიწვევს მთელი სიცოცხლის ძარღვის შეწყვეტას, არმიათა მოსპობას, ქალაქების ამოხოცვასა, შიმშილსა და ჭირს. იგი მოითხოვს, რომ გარედან მაინც დაგვეხმარონ უცხოელები, ვინც ამ საქმით დაინტერესებულნი არიან აქ დაბანდებული კაპიტალით. ორატორი ბოლოს ცენზიან ელემენტებთან კოალიციის აუცილებელ საჭიროებათ სთვლის. მესამე ორატორმა ტრახტენბერგმა აღნიშნა, რომ ქვანახშირის საკითხიც ფრიად რთულია, რკინის გზათა მოძრაობა თანდათანობით შეუძლებელი ხდებაო. შემდეგ იგი განიხილავს დღევანდელ კრიზისის საკითხს და აღნიშნავს, რომ ამისი მიზეზი ომია და ბოლშევიკთა მოქმედებაო. პროლეტარიატს სასწაულები არ შეუძლიან, თუ მას სხვებიც არ დაეხმარებიანო. ამიტომ იგი მომხრეა, რომ კოალიციაში მონაწილეობა მიიღონ კადეტებმაც.

კოალიციის მომხრეა აგრეთვე ორატორი **ვასილიევი** და **გუსევი**.

მუშათა კოოპერაციების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს სიტყვაზე, რადგანაც დრო მეტად მცირედ არის განსაზღვრული.

სხდომა 5 საათამდე შესწყდა.

# უკანასკნელი დეპეშები.

„ჟურნალ ნაროდა“ სწერს, ვერხოვსკისთან უთანხმოების გამო შესაძლოა ა. ფ. კერენსკი მთავრობიდან გავიდესო.

—

კიევის სახაზინოში უწესრიგობას ანარქიული ხასიათი მიიღო. ამურდარიის მარჯვენა ნაპირისკენ გახიზნული ხალხი სიმშილით იხოცება. გაძარცვეს და დასწვეს: კუნტრადი, მოჯელი, მანდრი, კლიჯაი, კუპჩაკი კიტაი და ჩუმანი.

—

მოსკოვის გაზეთები სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ კონოვალოვი დანიშნულია ფინანსების მინისტრად ავქსენტიევი მიწათმოქმედების მინისტრად. ტრეტიაკოვი —ვაჭრობის მინისტრად კიშკინი—მოწყალეობის მინისტრად და სასურსათო საქმეთა მინისტრის ამხანაგად— ბაშკიროვი.

—

პეტროგრადიდან იტყობინებიან 20 ენკენისთვეს 4 საათზე პეტრე პავლეს ციხიდან სუხომლინოვი სავრო ტანისამოსში ჩაცმული, სენატში მოიყვანეს, სადაც სენატმა სენატორ მოიშეტკინის პირით უკანასკნელი განაჩენი გამოაცხადა. განსაჩივრების უფლება მოსპობილია. მიუხედავათ ამისა მაინც საქმის განსაჩივრებას აპირებენ დამცველი ვექილები. სუხომლინოვის ცოლი განაჩენის კითხვას დაესწრო.

—

რიგამდეის რაიონში უკანასკნელ დღეებში ინგლისელებს 13 ზარბაზანი და 23 ტყვიის მფრქვეველი წაურთმევიათ ოსმალოთათვის, 200 კაცი მოუკლავთ და 3.800 ტყვე წამოუყვანიათ.

—

20 ენკენისთვეს ლონდონში მტერის ჰაეროპლანებიდან ყუმბარები ჩამოუყრია 10 კაცი მოუკლავთ და 38 დაუჭრიათ.

პეტროგრადში აფთიაქის მოსამსახურეთ გაუფიცნიათ. ისინი ჯამაგირის მომატებას მოითხოვენ.

—

ორიოლში არეულობის გამო სამხედრო წესები გამოაცხადეს. მოსკოვიდან დელეგატები მივიდენ წესიერების ასაღდგენათ, რომლებმაც დეპეში მიიღეს მთავრობისაგან, სასტიკი ზომები მიიღეთ ამბოხების წინააღმდეგო. მოსკოვიდან მათ დასახმარებლათ ჯარები გაიგზავნა.

—

სერბეთის მართველები სოლუნში გადავიდენ.

—

რუსეთ ავსტრიის სამოქალაქო ტყვეების გაცვლა-გამოცვლას გერმანელები ეწინააღმდეგებიან. მათ კატეგორიულათ განაცხადეს, ტყვეებს არ გაუშვებთო.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

**კომისრების გადადგომა.** დასავლეთ საქართველოს სამოსწავლო უწყების კომისრები ი. ი. ოცხელი და ს. თ. ხუნდაძე აცხადებენ, რომ ისინი სხვა და სხვა მიზეზების გამო სამსახურს თავს ანებებენ. მიზეზი კომისარობიდან გადადგომისა შემდეგ იქნება გამოქვეყნებული.

**სასურსათო კომიტეტში.** ხუთშაბათს, 21 ენკენისთვეს, კლასიკური გიმნაზიის სადგომში მოხდა ქალაქის სასურსათო კომიტეტის სწრაფი სხდომა. სხდომაზე გარჩეულ იქმნა თხოვნა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისა შესაგებ იმისა, რომ მას მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლათ მოკლე ვადიან სესხათ მისცემოდა 25,000 მანეთი. კომიტეტმა ამ თხოვნას პრინციპიალურათ მხარი დაუჭირა, მხოლოდ დაადგინა, რომ გამოითხოვენ დასტური გუბერნიის სასურსათო კომიტეტიდან.

**ს. ფაშალიშვილი** ქუთაისში ჩამოვიდა ახალგაზდა მხოსნი. **ს. ფაშალიშვილი** და სექტემბრის 30-ს საღამოს გამართავს.

**რეჟისორები.** ქუთაისის მომავალ სეზონ სათვის ქართ. დრამატიული დასის რეჟისორებათ მოწვეულ არიან ქორელი და ვ. ბარველი.

**ახალი კომისარი.** გუბერნიის სამოსწავლო კომისართ გუბ. აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია მასწავლებელი ნ. ფგელაძე.

**საქონლის გაზიდვის აკრძალვა.** სასურსათო საქმეთა მთავარი რწმუნებული ლიხაჩევი ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ატყობინებს; განკარგულება გაცემულია, რომ სასტიკათ აიკრძალოს კავკასიის სამხედრო ოლქის საზღვრებიდან გაიზიდოს საკლავი საქონელი, ხორბლეულობა, [illegible], ზეთი და სხვა უსაჭიროესი სურსათი, თუ ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა არ იქნა აღებული.

**საბილიარდოს დახურვა.** ქუთ. გარნიზონის ჯარის კაცთა საბჭომ დაადგინა, რომ დაიხუროს მ. ღულაძის საბილიარდო, რომელიც მოთავსებულია ქალაქის სამკითხველოს სადგომის ქვედა სართულში.

**ტკბილეულობის დამზადების შესახებ.** ს.-რევოლუციონერთა ქუთაისის ბიურომ ქალაქის სასურსათო კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მიეცეს მოწმობა, რათა ძმ. ჩილინგაროვების საკონდიტროში დაამზადონ ტკბილეულობა განზრახულ საღამოს საჭიროებისათვის და 3 ფუთი თეთრი პურის ფქვილის შესაძენათ.

**სასურსათო კითხვა.** სასურსათო საქმეთა სამინისტრო ქუთ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ 1 აგვისტოდან ყოველგვარ ხორბლეულობაზე ფასები აწეულია და სთხოვს, რომ პურის ფასი აწიონ.

**ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა დანიშნულია 25 ენკენისთვეს.

**პროფესიონალურ კავშირში.** ქუთაისის სახალხო მილიციის პროფესიონალური კავშირი ამ დღეებში ქალაქის თეატრში გამართავს წარმოდგენას.

**ახალი ენების კურსები.** გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ პეტროგრადიდან დეპეშა მიიღო, რომელშიც იტყობინებიან რომ ... არსებულ უცხო ენების კურსებზე შესვლის მსურველთ პეტროგრადში შესვლის უფლება გუბ. კომისართან უნდა აიღონ.

**ღვინის გაზიდვის შესახებ.** ამიერ კავკასიის [illegible] კომიტეტმა დაადგინა, რომ რკინის გზით ღვინის გაზიდვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებართვა ექნება ხსენებული კომიტეტიდან.

**პურის ფქვილი** ქუთაისში ამ ჟამად მეტად ცოტაა და მალე შიმშილობაც ჩამოვარდება. ამას სასურსათო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია და შუამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისისათვის გადაედვათ განსაზღვრული რაოდენობა ფქვილისა, მაგრამ, როგორც სასურსათო საქმეთა მთავარი რწმუნებული იტყობინება, ქუთაისს ფქვილი არ მიეცემა, რადგანაც შოვნა სჭირდება.

**აღწერილობა.** სამეურნეო და საქალაქო აღწერილობა ქუთაისის გუბერნიაში უკვე დასრულდა.

**ყურძენი.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე დიდძალი ყურძენი შემოიტანეს. ფუთი ყურძენი 12 მან. 15 მანეთამდის იყიდებოდა.

## თბილისი

— **ხმები ოსმალეთის რევოლუციის შესახებ.** თბილისში ხმა ვავრცელდა, ვითომც ოსმალეთში რევოლუცია ხდებოდეს. დახოცილები არიან ენვერ-ფაშა, თალაათ-ბეი, სულთანი მაჰმედ მე-5 უეცრივ გარდაიცვალაო.

— **ეროვნული დღესასწაული მცხეთაში.** ღვინობისთვის პირველს, მცხეთობა დღეს, მცხეთის ტაძარში, წირვის დროს, მოხდება კურთხევა სრულიად საქართველოს კათოლიკოსის მისი უწმიდესობის კირიონისა და ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონისა. იმავე დღეს, საღამოს ლოცვაზე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელდასხმულ იქნება ჭყონდიდის მიტროპოლიტად, ხოლო მეორე დღეს მოხდება მისი კურთხევა.

**ახალი გიმნაზია.** სამოსწავლო ოლქის კომისარიატის ნებართვით თბილისის პირველ უბანში არსდება კერძო ქართული გიმნაზია. თხოვნებს აიღებენ ყოველ დღე საღამოს 4—7 სათ. ყაზბეგის ქუჩაზე, მახელი № 18, ბინა 4.

## პროვინცია.

**ქ. ბათომი,** ენკენისთვის 10-ს აქ მოხდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოების და ქალაქის გამგეობის მთელმა შემადგენლობამ, კოოპერატივების პროფესიულ კავშირების და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებმა. თათბირმა გამოიტანა კადეტების საწინააღმდეგო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის საბჭოების ცენტრს გაუგზავნა.

**სოფ. ნოლა.** აქ დაარსდა სამკითხველო და კოოპერატიული სავაჭრო.

**სოფ. ტყაჩირი.** შაბათს ენკენისთვის 23-ს სოფ. ტყაჩირში ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება საღამო.

**გუდაუთი.** გუდაუთის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ გუდაუთი დაუკავშირონ სუხუმის ოლქს.

**ს. ერთა წყარო.** შალვა ელენტმა პირადი ინტერესების გამო შალამბერიძეს თავში კეტი დაჰკრა. შალამბერიძე იქვე გარდაიცვალა.

**აბანოები.** ზუგდიდის აღმასრულებელმა კომიტეტმა ქუთაისს გაუგზავნა დასამტკიცებლათ ს. ცაიშის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ცაიშში არსებული სამკურნალო წყლები „მენდეჯ“ გადავიდეს საზოგადოების საკუთრებათ.

**დ. ონი.** (რაჭ. მაზ.) შიმშილობა ჩამოვარდა. პური არ იშოვება. სიმინდიც გამოილია.

**ქ. ზესტაფონი.** ადგილობრივმა სასურსათო კომიტეტმა ცნობა გაუგზავნა ქუთ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ ზესტაფონისათვის საჭიროა 100 ფუთი კარტოფილის ფქვილი.

## ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტ. დადგენილება.

ენკენის. 14, თბილისში გაიმართა ზაფხულის შემდგომ პირველი კრება ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტთა თბ. ორგანიზაციისა, რომელმაც ითათბირა დღევანდელი მომენტის შესახებ და დაადგინა „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელი მომენტის უაღრეს სიმწვავესა და მის დიდ მნიშვნელოვანებას საქართველოსათვის იმ გარემოებას, რომ დიდი რუსეთის მმართველობა უცნაურ მოქმედებას იჩენს ჩვე-

ნდამი, რომ ამასთანავე კონტრ-რევოლუციის შხამი დაღუპვას გვიქადის და, რომ მოახლოვებული ზავი და საერთაშორისო კონფერენცია დიდ მოვალეობას გვაკისრებს საქართველოს შვილთ, --უპირველეს საჭიროებათ მიგვაჩნია მივმართოთ საზოგადოდ ქართველ სტუდენტობას კერძოდ კი ჩვენი პარტიის ორგანიზაციით დავალებულთ, რათა არ დასტოვონ ასეთ დროს თავისი სამშობლო და არ გაეშურონ იქ, საიდანაც საქართველოს შველა არცა სიტყვითა და არც საქმით არ შეიძლება.

იმავე დროს მოვითხოვთ უკვე რუსეთში მყოფ სტუდენტობისაგან მოჰხედონ გაჭირვებულ სამშობლოს, რომლისთვისაც ერთი კაცის ძალაც ძვირადა ჰღირს.

დაე, ყოველი ქართველი სტუდენტი დაფიქრდეს თავის მოვალეობაზე და მოერიდოს სამშობლოს მოღალატეს სასირცხო სახელის შეძენას...

კრების თავმჯდომარე.

**მიხ. ხერხეულიძე.**

# საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის კრება.

**ენკენისთვის 21.**

**სამოსწავლო საქმე.**

სხდომა გახსნა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა ბ-ნმა **ვლ. ქუთათელაძემ.**

პირველ რიგში განსახილველათ დაისვა სამოსწავლო საქმე. გუბერნიის კომისარმა **გრ. გიორგაძემ** ამ კითხვის მოსაგვარებლათ შემდეგი სთქვა:

„სკოლის საქმე რომ სასურველად მოეწყოს, საჭიროა მისადმი პირდაპირი მზრუნველობა. ჩემის აზრით, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ერთი სამოსწავლო საქმეთა კომისარი, რომელსაც ეწოდება გუბერნიის სამოსწავლო საქმეთა კომისარი, და მასთან ერთად კიდევ შვიდი სარაიონო სამოსწავლო კომისარი. მაზრებს უკვე წინადადება აქვთ მიცემული, აირჩიონ სამაზრო სამოსწავლო კომისარები.

ბ. გიორგაძის წინადადება მიიღეს. ასახელებენ კომისარებს. **გრ. გიორგაძე** აყენებს მასწ. **ნ. მგელაძის** კანდიდატურას. **ნ. მგელაძეს** ფარულ ხმის მიცემით კენჭს უყრიან და ირჩევენ. გადადიან სარაიონო კომისარების არჩევანზე.

**გრ. გიორგაძე** ასახელებს სარაიონო კომისარებათ **არ. წითლიძეს, ანთელაძეს** და მიხ უზნაძეს. კანდიდატებს ღებულობენ. დანარჩენ 4 კომისარის არჩევა შემდეგ სხდომისთვის გადაიდვა, რომელშიც პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობა შევა.

**წარმომადგენლების დანიშვნა.**

ამიერ-კავკასიის სამოსწავლო კომისარიატისაგან საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს ინსტრუქცია მოუვიდა, რომლის ძალითაც აღმ. კომიტეტმა თავის წარმომადგენლები უნდა შეიყვანოს საშუალო სასწავლებელთა პედაგოგიურ საბჭოებში. კლასიკურ გიმნაზიაში აღმ. კომიტეტმა დანიშნა **ოფიც. გეგელაშვილი,** წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში **ი. გობეჩია,** რეალურ სასწავლებელში **ტრიფონ ჯაფარიძე.** ამის გარდა ასარჩევი იყო წარმომადგენლები ქალაქის საბჭოში არსებულ სასკოლო კომიტეტში. ასახელებენ **ტრიფონ ჯაფარიძეს, პ. მოდებაძეს, კანდელაკს და ვ. ქუთათელაძეს.** ტრიფონ ჯაფარიძე უარს აცხადებს. ირჩევენ. პლ. მოდებაძეს, ვ. ქუთათელაძეს და კანდელაკს.

**ქალაქის სასკოლო კომიტეტების შესახებ.**

**გრ. გიორგაძე:** ქალაქის საბჭოში შემდგარი სასკოლო კომიტეტები ავტონომიურ სახით განაგებენ ქალაქში სამოსწავლო საქმეს და მიუძღვიან სკოლის ნაციონალიზაციას. საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს და გუბერნიის კომისარს სამეთვალყურო უფლება რჩებათ.

**ბაღდადის რკინის გზის კითხვა.**

ბაღდათის რკინის გზის შესახებ მოხსენებას აკეთებს **ი. გობეჩია,** თავმჯდომარე იმ კომისიისა, რომელიც საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა ბაღდადის რკინის გზის გამო დანიშნა.

**ი. გობეჩია:** კომისიამ განიხილა სამივე ვარიანტი რკინის გზის გაყვანისა, წარმოიდგინა ქუთაისის ინტერესი, სოფლების ინტერესი, ტეხნიკურ-ფინანსიური მხარე და ბოლოს ის, თუ რა მიზნით გაჰყავს სამხედრო სამრეწველო კომიტეტს რკინის გზა.

სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ეჭირვება პე-ტყე, მას გადაწყვეტილი აქვს რკინის გზა გაიყვანონ, რაც შეიძლება მოკლე ხანში (სახელდობრ 1918 წლის იანვრის 1-ამდე). ამის გამო, თქმა არ უნდა, მიმართულებას ამოირჩევენ რკინის გზის ლიანდაგის დასაგებათ, რომელიც უფრო საადვილო და ჩქარა შესასრულებელი იქნება. მდ. ყვირილაზე სამხედრო სამრეწველო კომიტეტი ვერას შემთხვევაში ვერ გააკეთებს ხიდს.

(დასასრული იქნება).

# გუბერნიის მცხოვრებთა მიმართ.

საშინელ გაჭირვებას განიცდის ჩვენი სამშობლო სურსათის უქონლობის გამო: დღითი დღე მცირდება რაოდენობა მოტანილი პურისა, ჩვენი სოფლები სიმინდს არ გვაძლევენ, დღითი დღე საგრძნობი ხდება უქონლობა პურისა და სიმინდისა ქალაქებსა და სოფლებში.

ქალაქის მცხოვრებნი უფრო მწვავეთ გრძნობენ შექმნილ მდგომარეობას, დღეს თუ არა ხვალ მოსალოდნელია ნამდვილი შიმშილი.

დროებითი რევოლუციური მთავრობა ხმარობს ყოველსავე ღონეს, რათა ხალხს მიაწოდოს ყოველგვარი სურსათი, სცდილობს ყოველს საშვალებას იხსნას ქვეყანა დაღუპვისგან და ამდენი სისხლით მოპოვებული თავისუფლება უვნებელი ჰყოს მტერთაგან.

მოქალაქენო! ძველი რუსეთის დახავსებული მთავრობა, ერთ მუჭა ადამიანთ გროვას ეყრდნობოდა, მისთვის ზრუნავდა და მისგანვე ელოდა დახმარებას, მაგრამ ხალხის უტეხმა ნებისყოფამ დაამხო იგი, სამუდამოთ დაასამარა, რადგანაც ის, ძველი მთავრობა, ხალხის, დემოკრატიის მოსისხლე მტერი იყო. ახალი რევოლუციური მთავრობა—თქვენის ნდობით აღჭურვილი, თქვენი ინტერესების მედგარი დამცველი თქვენგან, ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოითხოვს დახმარებას და თქვენ უნდა მისცეთ დროებით მთავრობას და მის ხელ-ქვეით ორგანოებს პური და სიმინდი, თორემ ხალხს საშინელი მეფეშიმშილი მოევლინება, რომელიც შეიტანს ხალხში მღელვარებას, უწესოებას და მაშინ ხომ სამუდამოთ დაგვეღუპება ჩვენი სანატრელი თავისუფლება. დღემდის ჩრდილოეთ კავკასია გვიწვდიდა მეგობრულ ხელს და გვაძლევდა პურს, დღეს ჩრდილოეთ კავკასიას დახმარების გაწევა არ შეუძლია, რადგანაც ზედმეტი პური ჯარსა და რუსეთის შიდა გუბერნიებს ეჭირვება.

ეს იმტენათ ართულებს მდგომარეობას, რომ ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ საჩქაროდ დაუყოვნებული ზომები. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს. იმედი გვაქვს თქვენგან დახმარების, დარწმუნებული ვართ თქვენს მოქალაქობრივ შეგნების სიძლიერეში. ამისათვის მოგმართავთ, მიწის მუშაკნო სასურსათო კომიტეტებში და მიყიდოთ მათ დადებულ ფასებში.

ამ კეთილ საქმეს მოითხოვს თქვენი დამშეული ძმები შეუჩერებელ ომისგან უმუშახელოთ დარჩენილი გაპარტახებული ოჯახები. თქვენი საყვარელი სამშობლო და ჩვენი სანუკვარი, ნორჩი თავისუფლება. ნუ დააყოვნებთ! დრო არ იცდის. დამშეული ადამიანები თქვენგან შველას მოელიან!

ამასთანავე უნდა ვაუწყოთ გუბერნიის მცხოვრებთ, რომ ამ რამდენსამე დღეში ფასი პურზედ გაძვირდება ერთი ორათ. თუმცა ეს მოვლენა ძლიერ ძნელი იქნება თქვენთვის, მაგრამ ამას მოითხოვს ქვეყნის, რუსეთის რესპუბლიკის ინტერესები.

პურზედ ფასის გადიდება არ გახლავსთ უბრალო ჟინი სასურსათო კომიტეტებისა ან მეპურეებისა, ასეთი არის განკარგულება დროებითი რევოლუციური მთავრობისა რომელმაც ამოსწურა ყოველივე საშვალება, რათა ხალხს იაფ ფასებში ქონოდა პური, ხოლო მაინც იძულებული გახდა მომენტისთვის გაეწია ანგარიში.

მოქალაქენო! არ შეიძლება იაფი პური გვქონდეს, სანამ ეს უმსგავსო სისხლის ღვრა გრძელდება, სადაც მილიონობით მომუშავე ხელი მოწყვეტილია თავის ოჯახს, სანამ ასე დაცარიელებული და დაუთესავია მინდვრები და სხვა.

**ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი**

22/IX—917

# სწავლის ფასის მომატების გამო.

დაიწყება თუ არა სამოსწავლო წელიწადი, ზოგიერთი შკოლიდან ღარიბ მოწაფეებს ითხოვენ, ერეკებიან, ფული, სწავლის ფული რატომ ახლავე არ მოიტანეთო.

ქუჩაში გამოყრილი ბავშები უსაქმოთ უგზო-უკვლოთ დაძრწიან, დაეხეტებიან აქით იქით... დარწიან, დაიარებიან ფულზე მათი მშობლებიც .. ვინ მოსთვლის, რამდენი დედ მამის ცრემლი იღვრება, რამდენი წყევლა-კრულვა ისმის სოფლად თუ ქალაქად იმის გამო, რომ ფულს აგრე ალა-ალა ვერ შოულობენ. დროკი არ იცდის, დრო, რომელიც თითქოს ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ მიდის, მიილალება და ერთხელვე სწავლას მოწყვეტილი ბავში, ან სამუდამოთ ეთხოვება შკოლას, ან ხელ ახლა უბრუნდება, მაგრამ როდის?—რამდენიმე თვეს შემდეგ...

მიუხედავათ ასეთი სამწუხარო მოვლენისა, წელიწადი ისე არ გაივლის, რომ დამატებითი ბევარა არ შემოგვაწერონ. დიახ, ქუთათურმა მასწავლებლებმა წელსაც ჩვეულებრივ მოიყარეს თავი. მიილაპარაკ-მოილაპარაკეს, და „ოთხიოდე“ თუმანი კიდევ წაგვიმატეს: „ახლა თორმეტი თუმანი უნდა შემოიტანოთ, რადგან ყველაფერი გაძვირდა, ჯამაგირი არ გვყოფნისო“, უბრძანებიათ ამ დალოცვილებს.

თორმეტი სახარება შეგეწიოთ, ბატონებო, თორმეტი! წამატებისათვის წარმატებას გისურვებთ, რადგან თქვენი ოქროპირი ჭეშმარიტებას ღაღადებს, რომ ყველაფერი გაძვირდა, ჯამაგირი აღარ გყოფნით, მაგრამ... ერთი ეს მიბძანეთ: მისამართი ხომ არ შეგშლიათ. ბატონებო? რაღა „წამატება„ ეჭირვება ახლა თქვენს ღარიბ მოწაფეებს, როცა კანკურაზი სიმშილი მოელის ამათ სიმშილი, სიტიტვლე!!! რა უნდა მოთხოვოთ, ბატონებო, ამათ მშობლებს მაგალითად, ქუთაისის ხელ-მოკლე მცხოვრებთ, რომელნიც სიმშილისაგან არაქათ- გამოლეულნი ერთმანეთს შეჩიჩიან, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთო.

ან რას ეუბნებით ქუთაისის წვრიმალ ხელოსნებს, რომელთაც თქვენი ჯამაგირის მეოთხედიც არ ეძლევა?

ეს ერთი წელიწადია, რომ ამ ყველასაგან უარყოფილ ადამიანებს ჯამაგირის მომატება აღუთქვეს. მაგრამ ვაი თქვენს მტერს! ფულის მაგიერ, ცარიელ ქაღალდებს—ენუქას ანდერძებს უგზავნიან სამინისტროდან, თან ემუქრებიან, ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ გაიფიცოთ, თორემ რაც გეძლევათ, იმასაც მოგისპობთო.

**მამა.**

# მოწერილი ამბები

**სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.**

17 ეკენისთვეს უნდა მომხდარიყო ქალაქის არჩევნები. ჯერ კიდევ არ მოახლოვებულიყო ეს დღე, რომ აქ არსებულმა პარტიებმა გააჩაღეს მუშაობა, გამართეს მიტინგები და განუმარტეს ხალხს თავ-თავიანთი მრწამსი; მიტინგებს მოაყოლეს ლექციები და სხვა. განსაკუთრებით კი მუშაობამ თავი იჩინა 14 ენკენისთვიდან. ამ პატარა ქალაქის ყველა ქუჩა პლაკატებით იყო შემოსილი. ქალაქს აშკარათ ეტყობოდა, რომ ყველაზე უფრო ცოცხლათ და ენერგიულათ ორი პარტია მუშაობდა—სოც.-დემოკრ. და ეროვნულ-დემოკრატები.

ეს პირველი დღე მუშაობისა ბევრს რასმეს გვიქადიდა, მაგრამ სურათი შეიცვალა მეორე დღეს...

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პლაკატაში ვიღაც ბოროტის ხელს სულ ერთიანად დაეხია; ფერადებით დაწერილი ნომერი № 4, გადაეკეთებია მე-№2.

ამ პატარა ინციდენტმა უსიამოვნება გამოიწვია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებში. ბრალს სდებდენ სოც.-ფედერალისტებს, რადგან № 2 მათ ეკუთვნოდათ,

ერ.-დემ. პარტიის სამტრედიის რაიონის კომიტეტმა დაგმო ამნაირი საქციელი და მასთან ქალაქის საარჩევნო კომიტეტსაც მიმართა, რათა მიეღო სათანადო ზომები და ყოველივე ოქმშიც შეეტანა; მაგრამ საარჩევნო კომიტეტმა არ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა.

მეორე დღეს ყოველივე ისევ თავდარიგში მოვიყვანეთ და კვლავ მუშაობა განვაგრძეთ.

დადგა თვით არჩევნების დღეც. არჩევნებში ქალაქის მცხოვრებთა გარდა მონაწილეობას იღებდა ქალაქის გარშემო მყოფი სოფლების მცხოვრებიც: სულ არჩევნებში უნდა მიეღო 5.164 კაცს. საარჩევნო ყუთი ხუთ ადგილას იყო. ორი ქალაქში და სამი სხვა და სხვა სოფელში. ყოველ საარჩევნო ყუთთან აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი და რიგ რიგათ თავის მოქალაქობრივ მოვალეობას ასრულებდენ.

მეორე დღეს გამოირკვა არჩევნების შედეგი.

არჩევნებში მონაწილეობა მიუღია სულ 4.036 კაცს. სოც.-დემ. პარტიის სიამ (№ 1) მიიღო 3.377 ხმა. ამ რიგად მან გაიყვანა 17 ხმოსანი. სოც.-რევ. პარტიის სიამ (№ 3) მიიღო 359 ხმა—2 ხმოსანი. საქ. ერ.-დემ. პარტიის სიამ (№ 4) მიიღო 235 ხმა, გაიყვანა 1 ხმოსანი. სოც.-ფედერალისტთა სიამ მიიღო 72 ხმა; მათი ხმოსანი არ გასულა.

**ან—კანი.**

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**წინასწარი პარლამენტი**

დემოკრატიულ თათბირზე კითხვა აღძრა, რომ შესდგეს წინასწარი პარლამენტი. რომლის წინაშეც პასუხის მგებელი იქნება მთავრობა. ასეთ აზრს მხარს უჭერს სოც დემ. მეუმცირესეთა ზოგიერთი ორგანო. შრომის ჯგუფი და ლიბერალური წრეები არსებითად წინაამდეგნი არიან წინასწარ პარლამენტისა.

**ჯარის ეროვნულათ დაყოფა**

ახალი სამხედრო მინისტრი მომხრეა, რომ არა რუს ეროვნებათ უფლება მიეცესთ თავის ჯარისკაცები ცალკე ნაწილებათ გამოყონ და უმთავრესათ სამშობლოს ტერიტორიის დასაცავათ დააყენონ. ამბობენ, რომ ამ კითხვის გარშემო დავა ასტყდა. ვეხოვსკის რამდენიმე გენერალთან უსიამოვნება მოუვიდა.

**ტაშკენტის გარშემო**

ტაშკენტის ამბავი მთელ რუსეთს აშფოთებს. ქალაქში გამოცხადებულია ჯარისკაცთა დიქტატურა. სანოვაგე შემცირდა. ჯარისკაცები ბევრ უწესრიგობას სჩადიან. რამდენიმე შენობა ცეცხლმა გაანადგურა. დატყვევებულ ადგილობრივ მთავრობის ერთი წევრი წყალში გადააგდეს. ძარცვა გლეჯა სისტემატიურათ სწარმოებს. მოკლე ხანში მოკლიან ჯარის მოსვლას და შეტაკებას.

**თივის კრიზისი.**

გაზ. ,,რუს. სლოვო'' აღნიშნავს, რომ ჯარში სრულიად მოისპო თივა. ვეღარც სხვა საკვებს შოულობენ ცხენებისათვის, რის გამო დიდძალი ცხენი იხოცება.

**სად გაჰქრა პური.**

„ტორგ. პრომ. გაზ“-ს სტატისტიკური ცნობა მოჰყავს იმის შესახებ, თუ რამდენი პურია რუსეთში. სტატისტიკიდან სჩანს, რომ პური საკმაო არის. მაგალითად ნ-ის მაზრაში 39 მილიონი პური აქვთ. წლის ბოლომდე ამ მაზრას სჭირდება 20 მილიონი. დანარჩენი 19 მილიონი თავისუფალი რჩება. იკითხავთ ახლა, ამ პურს გაყიდიან თუ არაო. პასუხი კარგა ხანია ცნობილია. არ გაჰყიდონ, რადგან გლეხს ფული არა სჭირდება; ფულს ფასი დაეკარგა. დასასრულ გაზეთი ამბობს: სასურსათო სამინისტრომ საჩქაროთ და დაუყონებლივ მხოლოთ ამ მოვლენას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება და პურის მონოპოლია სასტიკ წესათ აქციოს.“

**ქაღალდის საქმე.**

რუსული პრესა დიდათ უკმაყოფილოა ფინეთისა, რომელიც სურსათის ცხოვრების სირთულით სარგებლობს და მტრობას უწევს რუსეთს. მაგალითად კორნილოვის აჯანყების ხმა გაისმა თუ არა, ფინეთის ფაბრიკებმა მყისვე უარი განაცხადეს რუსეთის შენაკვეთებზე. ფინეთი აღარ გვაძლევს ქაღალდსა და ამ რიგათ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სრულიათ უქაღალდოთ დავრჩეთ. ფინეთის ქცევა აშკარა გაიძვერული არისო.

**სეიმის მოწვევა.**

ფინელებმა მიუხედავათ იმისა, რომ დრ. მმართველობამ აკრძალა დათხოვნილ სეიმის მოწვევა და სეიმის სადგომის კარებიც დაბეჭდა, მაინც მოიწვია სეიმი და სხდომა გამართა. რუსული პრესა გარდა „ნოვაია ჟიზნი“-ს აღშფოთებით მიეგება სეიმის მოწვევას და დრ. მთავრობას მოუწოდებს ასეთ თვითნებობის და ურჩობის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს.

**პოლონეთი და რუსეთი.**

გაზ. „რუს. ვედ“-ი სწერს: ,,პოლონეთმა სახელმწიფური უფლებანი მოიპოვა. ამიერიდან რუსეთი პოლონეთის მხრით ეღის თავისუფალ და არა მორჩილ ერსო.

**ს ი მ შ ი ლ ი.**

რუსეთში გახშირდა დამშეულთა გამოსვლები და უწესოების მოხდენა. ვოლოგდაში დამშეულებმა აიკლეს ბაზარი და დაამტვრიეს სავაჭრო შენობები.

# წერილი რედაქციის მიმართ.

მოწყალე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირებს, რომელთაც შემოსწირეს სოფ. ღარიხევის 2 მტატიანი გიორგის ეკლესიის ახლად ასაგებ კანკელის სასარგებლოთ შემდეგი; 1) ზინა ნანიტაშვილისამ 10 მ.; 2) სამსონ თად. ჰიპაშვილმა 3.; 3) პლატონ ლაბაძემ 3 მ.; 4) ნოშრევან ტრ. ჰიტაშვილმა 3 მ.; 5) ალექსანდრე ნიკ. მესხმა 5 მ.; 6) კონსტანტინე კვირკაშვილმა 1 მ. 7) ფილიმონ ნანიტაშვილმა 2 მ.; 8) ეკატერინე ნანიტაშვილისამ 1 მ.; 9) იასონ ნანიშვილმა 1 მ. 10) ისიდორე ჰიპაშვილმა 1 მ; 11) პელაგია ჰიპაშვილისამ 1 მ.; 13) მეულლე მისმა ივლიტამ 1 მ.; შვილებმა; პავლე, გრიგოლ და ნიკოლოზმა თითო მანეთი 3 მ. აკვილინა, ვერა, ეკატერინე, ანნა, დარიჯან და ნოემ ათ ათი შაური 3 მ. 14) ერმალოზ ტარ. კამკამიძემ 2 მ.; 15) მეუღლე მისმა ქრისტინემ 2 მ.; 19) ასულმა მათმა ნადიამ 1 მ.; 17) ასინეტა ჰიპაშვილისამ 1 მ; 18) ევლოგი კამკამიძემ 4 მ. და 50 კაპ.; 19) პავლე რომ. ჰიპაშვილმა 1 მ.; 20) ბიქტორ მაქ. ჰიპაშვილმა 3 მ.; 21) მიხეილ გიორგ. დევდარიანმა 2 მ.; 22) ლევანტი სვიმ. ნანიტაშვილმა 3 მ.; 50 კაპ.; 23) პლატონ თხელიძემ 3 მ.; 24) ესტატე მამუკაშვილმა 5 მ.; 25) გლახუა მუს. ნანიტაშვილმა 5 მ; 28) დავით ჰიპაშვილმა 5 მ.

**მღ პეტრე მიხელიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია**

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |


# ექიმები

**ა. მ. ახათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტუშანსკის სახლი


სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში